MES 5 23 0001269458

29/09/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომისოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 15. 09. 2023
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:00 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი I - ლი საკითხი
სხდომის თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანი II III, IV, V საკითხები
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომშისაბჭო) სხდომაზე დამსწრეწევრები :

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე ;**
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
3. **რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
4. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
5. **ქეთევან ზურაშვილი** - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

6. **ერმილე მესხია -** სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
7. **ლევან ნიკოლეიშვილი -** სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
8. **თამარ სირაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
9. **მარინა ქავთარაძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
10. **ქეთევან ქუთათელაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. **ლაშა ჩხარტიშვილი -** სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
12. **თინათინ ჭაბუკიანი -** სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
13. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
14. **გურანდა ჭელიძე -** შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
15. **მამუკა ხუსკივაძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ეკატერინე ბაკარაძე	ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	პროფესორი, ხარისხის კულტურის კომიტეტის აღმასრულებელი მენეჯერი	II
2	ვახტანგ ზაალიშვილი	ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	პროფესორი,ხარისხის კულტურის კომიტეტის წარმომადგენელი სკოლაში	II

3	გვანცა დავითაშვილი	ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	პროფესორი, პოლიტიკისა და დიპლომატიის სკოლის დეკანის მოადგილე, პროგრამის ხელმძღვანელი	II
4	ივანნა მაჩიტიძე	ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	პოლიტიკისა და დიპლომატიის სკოლის ასოცირებული პროფესორი	II
5	ქეთევან ჯინჭარაძე	შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III
6	ნინა კარბელაშვილი	შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	III
7	დავით მახვილაძე	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
8	ხათუნა მხეიძე	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	IV
9	ედიშერ კვესიტაძე	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი	IV
10	მაია კილაძე	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	IV
11	ნინო ლომიძე	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
12	აკაკი გუნცაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მენეჯერი	IV
13	მალხაზ დოლიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	აგროინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი.	IV
14	მთვარისა თანანაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	„ნიადაგის და წყლის რესურსების ინჟინერიის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV
15	მაია კუპრავიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	„ნიადაგის და წყლის რესურსების ინჟინერიის“	IV

			ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	
16	დიმიტრი გეგენავა	შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტი	პრორექტორი	V
17	თამთა მიქაბერიძე	შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტი	ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი	V
18	ნათია ჭელიძე	შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტი	ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	V
19	ნინო წიქვაძე	შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტი	ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.	V

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ**	**საკითხი**
1	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
2	დიბიეშ ანანდი (Dibyesh Anand)	(ჩაერთო „ზუმით“) საბჭომ მოისმინა ვიდეო ჩანაწერი, თვითონ უშუალოდ არ დასწრებია	II
3	ირაკლი გორგილაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	ნინო ხუბულია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
6	მარინე ხიზანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	ციცინო თურქაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
8	მამუკა ბენაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
9	ვასილ კიკუტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის "ბიზნეს ინფორმატიკის" ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ევროკავშირი და აღმოსავლეთ სამეზობლო" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის „ვებ და მულტიმედიური პროექტის ტექნოლოგიები და მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნიადაგის და წყლის რესურსების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „ადამიანური რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· კი

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2023 წლის 13 სექტემბერს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილ იქნა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წერილი, რომელშიც დაწესებულება აღნიშნავდა, რომ ვინაიდან "ბიზნეს ინფორმატიკის" ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში თანაბრად იყო ჩართული ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტი, მნიშვნელოვანი იყო მათი დასწრება საბჭოს სხდომაზე. შესაბამისად დაწესებულება ითხოვს საკითხის განხილვის გადადებას.

საბჭოს ერთხმად დააკმაყოფილა შუამდგომლობა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის "ბიზნეს ინფორმატიკის" ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის გადადებასთან დაკავშირებით.
ცენტრის წარმომადგენელმა ასევე საბჭოსთან იშუამდგომლა პირველ საკითხად განეხილათ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 28 მაისის №497787 სხდომის ოქმსა და 2021 წლის 28 მაისის №497867 გადაწყვეტილების დანართში ტექნიკური შესწორების საკითხი, რაზედაც საბჭომ თანხმობა განაცხადა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 28 მაისის №497787 სხდომის ოქმსა და 2021 წლის 28 მაისის №497867 გადაწყვეტილების დანართში ტექნიკური შესწორების საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ევროკავშირი და აღმოსავლეთ სამეზობლო" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის „ვებ და მულტიმედიური პროექტის ტექნოლოგიები და მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

4. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნიადაგის და წყლის რესურსების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „ადამიანური რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 28 მაისის №497787 სხდომის ოქმსა და 2021 წლის 28 მაისის №497867 გადაწყვეტილების დანართში ტექნიკური შესწორების საკითხის განხილვა;

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა - ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანმა
საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2023 წლის 01 აგვისტოს წარმოდგენილ იქნა შპს საქართველოს უნივერსიტეტის წერილი (1144615, 13/09/2023), რომლითაც დაწესებულება გამოთქვამს თანხმობას, 2021 წლის 28 მაისის N497787 სხდომის ოქმსა და 2021 წლის 28 მაისის N497867 გადაწყვეტილების დანართში ტექნიკური შესწორების შესახებ, კერძოდ, საკითხი ეხება შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას. ოქმსა და გადაწყვეტილების დანართში კვალიფიკაციის დასახელება მითითებულია, როგორც - „ბაკალავრი ფსიქოლოგიაში“, დაწესებულება ითხოვს ფორმულირებას შემდეგი სახით - „ფსიქოლოგიის ბაკალავრი“.

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 28 მაისის №497787 სხდომის ოქმსა და 2021 წლის 28 მაისის №497867 გადაწყვეტილების დანართში ტექნიკური შესწორების საკითხი:

მომხრე: 14
მოწინააღმდეგი: 0

გადაწყვიტა:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საბჭომ გადაწყვიტა:

1. „შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 28 მაისის №497867 გადაწყვეტილების **დანართ**№1-ში მოხდეს ტექნიკური შესწორება და „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება მოხდეს შემდეგი სახით: „***ფსიქოლოგიის ბაკალავრი“;***

2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 28 მაისის №497787 სხდომის ოქმის 01 ნაწილში, „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აღმწერ ცხრილში, „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება მოხდეს შემდეგი სახით: „***ფსიქოლოგიის ბაკალავრი“;***

მეორე საკითხი: ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ევროკავშირი და აღმოსავლეთ სამეზობლო" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ევროკავშირი და აღმოსავლეთ სამეზობლო / European Union and Eastern Neighborhood
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ევროპული ინტეგრაციის მაგისტრი / MA of European Integration
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ბოხუას ქ. 11, თბილისი, 0159, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა

დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ცენტრის თანამშრომელმა ეკრანზე გააზიარა საერთაშორისო ექსპერტის, დიბიეშ ანანი მიერ გამოგზავნილი ვიდეო რგოლი, რომელიც ითარგმნებოდა ავტომატურ რეჟიმში.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, პროგრამა არის ძალიან ფასეული და კარგი და თუ დაწესებულება მათ მიერ გაცემულ რეკომენდაციებს გაითვალისწინებს ეს ცალსახად წაადგება პროგრამის უფრო მეტად განვითარებას.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომელიც დაწესებულებისთვის წარმოადგენდა გამოწვევას. როგორც მან აღნიშნა, დაწესებულებას პროგრამაში ეწერა რომ სტუდენტებს სთავაზობდა გარანტირებულ სტაჟირებას, მაშინ როდესაც მათ შეამოწმეს ყველა დოკუმენტი რომელიც სტაჟირების საკითხს ეხებოდა და მათ აღნიშნული დოკუმენტებიდან მსგავსი ვერ ამოიკითხეს. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შესაძლებელია ასევე პროგრამის კიდევ უფრო განვრცობა და სხვადასხვა თემატიკებით გამრავალფეროვნება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ პროგრამის მიმართ გაცემული იყო რამდენიმე მსუბუქი ხასიათის რეკომენდაცია. დაწესებულებამ წარადგინა თავისი არგუმენტირებული პოზიცია გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ შეუცვლია.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი გაცემული იყო პირველ სტანდარტთან მიმართებით, კერძოდ ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა სავალდებულო სასწავლო კურსების შესაბამისობას სწავლის შედეგებთან. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სწავლის შედეგებთან შესაბამისობა მტკიცდება სასწავლო კურსის შინაარსით და შეფასების კომპონენტებით, რაც გულისხმობს სტატიისა თუ სხვა ტიპის კვლევის შეფასება/ რეცენზირებას. ამასთან სასწავლო კურსების ლიტერატურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგებზე გასვლას.

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა ასევე სტაჟირებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ როგორც სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნებისთვის წარდგენილი დოკუმენტაციიდან, ასევე ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული გასაუბრებებიდან ირკვევა, რომ „ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო, პრაქტიკულ და კვლევით კომპონენტებს. კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების შესაბამისი ოდენობა თითოეულიდან. პრაქტიკული უნარების განსავითარებლად, პროგრამის სავალდებულო კომპონენტში შეთავაზებულია „პროფესიული სტაჟირება“ უნივერსიტეტის პარტნიორ ორგანიზაციებში (EECMD, GSFIS და სხვა) ან სტუდენტისთვის სასურველ სხვა კვლევით ან ანალიტიკურ ცენტრებში, პროგრამის

ხელმძღვანელთან წინასწარი შეთანხმებით. პროფესიული სტაჟირება ითვალისწინებს სტუდენტების მონაწილეობას შესაბამის პოლიტიკის კვლევაში ანალიტიკური ნაშრომების მომზადების გზით, უნივერსიტეტის ევროკავშირის მიმართულებით მიმდინარე კვლევითი პროექტების ფარგლებში.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა სამართლის სასწავლო კურსის სავალდებულო საგნად სწავლების საკითხის შესახებ და განმარტა, რომ პროგრამაში მოცემული კურსები არის ინტერდისციპლინური, რაც იმას გულისხმობს, რომ მაგალითად ისწავლება როგორ სამართლებრივი, ასევე პოლიტიკური პერსპექტივები. გამომდინარე აქედან, დაწესებულებამ მნიშვნელოვნად მიიჩნია, რომ პროგრამის მიზნებში მითითებული ყოფილიყო, რომ პროგრამა სტუდენტებს შესძენს სამართლებრივ ცოდნას.

რაც შეეხება პროფესორების საკონსულტაციო საათებს, უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტები, რაც ანიჭებს აკადემიურ პერსონალს ვალდებულებას და ამასთან შესაძლებლობასაც, რომ ორი საათი გაწერონ სტუდენტებისთვის საკონსულტაციო მომსახურებისთვის. ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ აკადემიური პერსონალი ვალდებულია, საკუთარი მოვალეობები შეასრულოს დატვირთვის სქემის მიხედვით, რომელიც ასევე უზრუნველყოფილია შიდა ბრძანებით. საკონსულტაციო საათებთან დაკავშირებით პირველივე ლექციაზე სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია. ამასთან უნივერსიტეტში გამოკრულია ცხრილებიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა მე-4 სტანდარტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციაზე და განმარტა, რომ უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლის ფარგლებშიც დეტალურად არის გათვალისწინებული პერსონალის დატვირთვა. უფრო კონკრეტულად: აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრული ოდენობისა და ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ ბრძანება და საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან პროგრამა არის ახალი და ჯერ არ ფუნქციონირებს შეუძლებელია პერსონალის დატვირთვის წარმოდგენა, თუმცა სხვა ანალოგიურ პროგრამებზე ეს პროცესი ერთი მხრივ კანონმდებლობის, ხოლო მეორე მხრივ შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად მიმდინარეობს.

უნივერისტეტის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა რომ „რეგულირების შედეგების შეფასება" - ევროკავშირის პოლიტიკის, რეგულირებისა და სამართლის კლინიკა (12 კრედიტი) თავს უყრის პრაქტიკოსი დიპლომატების, საჯარო მოხელეებისა და საერთაშორისო ექსპერტების სპეციალურად მომზადებულ სემინარებს. სტუდენტები ამ ორი ზემოთაღნიშნული კომპონენტიდან სავალდებულო წესით ირჩევენ ერთ-ერთს ან სურვილის შემთხვევაში, ორივეს. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი რესურსი, პრაქტიკული უნარების გარანტირებული წესით უზრუნველსაყოფად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, გურანდა ჭელიძე დაინტერესდა სტაჟირებისა და კლინიკის საკითხთან დაკავშირებით და სთხოვა ექსპერტებს განემარტათ, რამ განაპირობა მათი მხრიდან ამასთან დაკავშირებით დასკვნაში რეკომენდაციის ასახვა. ასევე მან კითხვით მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს და აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან პირდაპირ იკითხება, რომ სტაჟირების წინ ხდება ხელშეკრულების გაფორმება, რაც ფაქტობრივად სტაჟირებას აბსოლუტურ გარანტიას რეალურად უკარგავს, თუმცა თქვენმა წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ კლინიკას ქმნით იმისთვის, რომ სტუდენტმა შემდგომ

გაიაროს სტაჟირება. მას აინტერესებდა, სტაჟირება და პრაქტიკა ცალ - ცალკე არსებობდა, თუ ერთი კურსის ფარგლებში იფარება.
საბჭოს წევრი გურანდა ჭელიძე ასევე დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, თუ დაწესებულება ევროკავშირის მიმართულებით რა სახის კვლევით პროექტებს ახორციელებდა ამ ეტაპზე.

საბჭოს წევრმა გურანდა ჭელიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ ექსპერტები დასკვნაში სწავლა - სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით წერენ, რომ ისინი შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს და უზრუნველყოფენ სწავლის შედეგებზე გასვლას, თუმცა ასეთი ჩანაწერი არ იკითხება შეფასების მექანიზმთან მიმართებით, ის დაინტერესდა, შეფასების მექანიზმები, რომლებიც გამოყენებულია კურსების ძირითად ნაწილში, სტუდენტი გაყავს თუ არა პროგრამის სწავლის შედეგებზე. ასევე, საბჭოს წევრი დაინტერესდა სამართლებრივ აპროქსიმაციის საკითხთან დაკავშირებით და სთხოვა დაწესებულებას ამ მიმართულებით განმარტების გაკეთება.
საბჭოს წევრი, მამუკა ხუსკივაძე დაინტერესდა სასწავლო კურსთან ,,ევროკავშირი და კლიმატის ცვლილება“ დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სასწავლო კურსში რატომ იყო განხილული მხოლოდ კლიმატის ცვლილება და არა სხვა ეკოლოგიური პრობლემები. ამასთან სილაბუსის მიხედვით სასწავლო კურსი გრძელდება შვიდი კვირის განმავლობაში და ეს ტექნიკური ხარვეზით იყო განპირობებული თუ საქმე სხვა რამეს ეხებოდა. ასევე ის დაინტერესდა, ,,ევროკავშირისა და კლიმატის ცვლილების“ სასწავლო კურსის სწავლის შედეგები რამდენად იყო მოცემული პროგრამის სწავლის შედეგებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა სასწავლო კურსთან ,,ევროკავშირი, ინსტიტუტები და პოლიტიკა“ განმარტა, რომ მოცემული სასწავლო კურსი დიდწილად მოიცავს სამართლებრივ საკითხებს და მსგავსია კიდევ სხვა სასწავლო კურსებიც, რომელთა შინაარსი და ლიტერატურაც არის სამართლებრივი, რასაც პირდაპირი კავშირი აქვს სამართლებრივი ცოდნის მიღებასთან და გავყავართ იმ სწავლის შედეგზე რაც დაგეგმილია პროგრამის ფარგლებში.
რაც შეეხება სტაჟირებისა და კლინიკის საკითხს, დაწესებულებას ერთის მხრივ აქვს კლინიკა, რომელიც მიემართება სამართლებრივ აპროქსიმაციას და მეორე მხრივ, არსებობს უნივერსიტეტს მიღმა დონორ ორგანიზაციებში სტაჟირების გავლის შესაძლებლობა, რისი არჩევანის შესაძლებლობაც აქვს სტუდენტს, თუმცა გავლა ამ ორიდან ერთ-ერთის გავლაა სავალდებულო.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტი შედგება ორი არჩევანისგან, კერძოდ ან სტუდენტი ერთვება პარტნიორ ორგანიზაციაში პრაქტიკულ საქმიანობაში სემესტრის განმავლობაში, ან იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი აღნიშნულს არ აირჩევს, უნივერსიტეტში უკვე არის კლინიკა პრაქტიკის გასავლელად. ეს უკანასკნელი უკვე აქტიურად ხორციელდება და აქვს აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ევროკავშირთან ურთიერთობის გამოცდილებაც.

ევროკავშირის მიმართულებით განხორციელებულ პროექტებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ჩართულობით განხორციელდა პროექტი მომხმარებელთა უფლებების კანონმდებლობის დაახლოებაზე, რის საფუძველზეც დაწესებულების პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობით მომზადებული იქნა რისკების ორი შეფასების დოკუმენტი, რომელიც პირდაპირ

არის ევროკავშირის საკანონმდებლო შემოქმედებითი პროცესის ნაწილი. რაც შეეხება მეორე პროექტს, აღნიშნული წარიმართა შრომის სამართლის მიმართულებით, რის შედეგადაც გამოიცა შრომის სამართლის კოდექსის კომენტარები.

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ დაწესებულებას ჰყავს უცხოელი პროფესორები, რომლებისთვისაც ფორმატი იმგვარად არის გადანაწილებული, რომ საათები მოცულობა არის იგივე, უბრალოდ გადანაწილება არის განსხვავებული. რაც შეეხება თემატიკას, თუ რატომ კლიმატის ცვლილება, მისი თქმით, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მიზანი სწორედ რომ კლიმატის ცვლილებაა, რომელიც საკმაოდ დიდი გამოწვევაა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა განმარტა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გასაუბრებების შედეგად ცხადად ჩანს, რომ სწავლა - სწავლების მეთოდები სასწავლო კურსებში სრულიად რელევანტურადაა განსაზღვრული. რაც შეეხება შეფასების მექანიზმებს, ექსპერტის თქმით, სწავლის შედეგების გაზომვადობისთვის და სამიზნე ნიშნულების ფორმირებისთვის უმჯობესია უკეთესი შეფასების მექანიზმების შემუშავება, კერძოდ პროგრამაში ან სასწავლო კურსის სილაბუსებში უნდა გაკეთდეს ჩანაწერი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოხდება კონკრეტული სწავლის შედეგის გაზომვა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 14:48
დასრულებისდრო: 15:11
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ევროკავშირი და აღმოსავლეთ სამეზობლო" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის **ვადით** 2028წლის31დეკემბრამ დე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.
კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ევროკავშირი და აღმოსავლეთ სამეზობლო" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2028 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია ჩასწორდეს პროგრამის დოკუმენტაცია და კურსის სილაბუსები მათ შორის თანხვედრის უზრუნველსაყოფად. დარწმუნდით, რომ უნარები 3 და 4, რომელთა განვითარებასაც გვთავაზობს პროგრამა, ასახულია საკმარისი რაოდენობის კურსებში. უნდა არსებობდეს თანხვედრა პროგრამასა და კურსებს შორის, რაც უზრუნველყოფს ძირითადი ცოდნისა და უნარების შესაბამისობას სასწავლო სფეროსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;

- რეკომენდირებულია ყველა პროგრამისა და კურსის სწავლის შედეგების აღსაწერად გამოყენებულ იქნას მე-7 დონის შესაბამისი ზმნები;

- რეკომენდირებულია სასწავლო კურსების სპეციფიკის შესაბამისად, გამრავალფეროვნდეს შეფასების ფორმები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო კურსისა და პროგრამის შედეგების მიღწევას;

- რეკომენდირებულია რომ უნარები 3 და 4, როგორც ეს პროგრამის აღწერაშია მოცემული ასევე არსებობდეს იმ სასწავლო კურსებში, სადაც ისინი იგულისხმება;

- რეკომენდირებულია, რომ პერსონალის დატვირთვა მოიცავდეს სწავლებას, კონსულტაციას, სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვას აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ფუნქციებისა და მოვალეობების შესაბამისად.

რჩევები:

- თუ უნივერსიტეტს სურს მოიზიდოს მეტი საერთაშორისო სტუდენტი, სასურველია განხილულ იქნას ახალი კურსი ევროკავშირისა და გლობალური პოლიტიკის შესახებ (მაგალითად, ევროკავშირის ურთიერთობები ჩინეთთან, აშშ-სთან, ინდოეთთან, აფრიკასთან და მსოფლიოს სხვა ნაწილებთან);

- სასურველია სახელი შეეცვალოს კურსს „ევროკავშირის კლინიკა“, რათა ცხადი გახდეს, რომ ეს არის კურსი, რომელიც, ძირითადად, უზრუნველყოფს RIA- ს, რაც პროგრამას უნიკალურსა და განსაკუთრებულს ხდის;

- პროგრამაზე პრიორიტეტული ჩარიცხვის შესახებ შეთანხმება სხვა საგანმანათლებლო პროგრამების (მათ შორის, ეკონომიკის, ჟურნალისტიკის და ა.შ.) კურსდამთავრებულებს არათანაბარ პირობებში აყენებს და ეწინააღმდეგება უმაღლესი განათლების შესახებ კანონით გათვალისწინებულ რეგულირებადი პროფესიების აღმწერს, შესაბამისად სასურველია შეიცვალოს დაშვების ეს კრიტერიუმები

მესამე საკითხი: შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის „ვებ და მულტიმედიური პროექტის ტექნოლოგიები და მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	„ვებ და მულტიმედიური პროექტის ტექნოლოგიები და მართვა“

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2017 წლის 03 ივლისის №39 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმატიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 016, მერაბ ალექსიძის N10
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა გურანდა ჭელიძემ,
საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

საბჭოს სხდომა დატოვა გოდერძი ბუჩაშვილმა

აკრედიტაციის დებულების 27^2-ემუხლისმე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომის თავმჯდომარეობის უფლებამოსილება შეასრულა ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანმა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ მისი განვითარების მიზნით მასში განხორციელდა ბევრი ცვლილება, იმისათვის რომ პროგრამა შესაბამისობაში მოსულიყო განახლებულ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და სწავლისსფეროების კასიფიკატორთან. დაწესებულება მოერგო ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსდა კლასიფიკატორს, თუმცა მათი მხრიდან გამოიკვეთა რამდენიმე რეკომენდაცია:

1. რეკომენდებულია დაკორექტირდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციის ჩანაწერი ახალი მოთხოვნის შესაბამისად;
2. დაკორექტირდეს სასწავლო კურსის: „პრაქტიკული კომპონენტი“ მიზნები და შედეგები;
3. დაკორექტირდეს პროექტის შეფასების სქემა და მოვიდეს საკანონმდებლო ჩანაწერთან შესაბამისობაში;
4. განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა სასწავლო კურსში „ვებ პლატფორმები და მათი კომბინირება;
5. ჩანაცვლდეს სასწავლო კურსში „ვებ და მულტიმედიური პროექტის ინჟინერია (UX Design)“ სავალდებულო ლიტერატურა - Alan Cooper , Robert Reimann , David Cronin. About Face 3: The 7 Essentials of Interaction Design Publisher: Wiley; 3rd edition (May 7, 2007) უფრო ახალი, 2014 წლის გამოცემით;
6. დაკონკრეტდეს სასწავლო კურსის „კიბერუსაფრთხოება, დაცვა და შეტევა“ სილაბუსში სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა;
7. დაკორექტირდეს სასწავლო კურსის „აკადემიური წერა და სტილისტიკა“ სილაბუსში მიზნები შესაბამისი საფეხურის შესატყვისად.;
8. რეკომენდებულია პროგრამაში მიეთითოს გასაუბრების ფორმატი და შინაარსი.

ამასთან, აკრედიტაციის განახლებული სტანდარტებიდან გამომდინარე სწავლის შედეგების აღმწერი 6 კომპონენტიანი სისტემა ტრანსფორმირდა 3-კომპონენტიანზე, თუმცა აქვე უნდა განიმარტოს, რომ სწავლის შედეგების აღმწერი რუბრიკები ცალკეულ სასწავლო კურსის სილაბუსში საჭიროებს ცვლილებას და მისადაგებას მე-7 საფეხურის აღმწერთან.

ზემოხსენებულ ცვლილებები არ იყო ხელისშემშლელი პირობა მისანიჭებელი კვალიფიკაციის სრულყოფილად ჩამოყალიბებისათვის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე მიზნებით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულიად იზიარებს ყველა რეკომენდაციას და შესაბამისად დაწესებულება აქტიურად იმუშავებს მოცემულ საკითხებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა სთხოვა ექსპერტს დაეზუსტებინა, რეკომენდაცია - დაკორექტირდეს სასწავლო კურსის: „პრაქტიკული კომპონენტი“ მიზნები და შედეგები, ხომ არ იყო ტექნიკური შეცდომა და ექსპერტები ხომ არ გულისხმობდნენ „საკვალიფიკაციო პროექტის კომპონენტს“ რადგან ექსპერტები 2.2 კომპონენტთან მიმართებით ამბობენ რომ აღნიშნული საკითხი შესაბამისობაშია სტანდარტებთან.

ექსპერტმა უპასუხა, რომ ისინი გულისხმობენ პრაქტიკულ კომპონენტს. მათ პრაქტიკულ კომპონენტთან დაკავშირებით ნახეს ორი სილაბუსი, განსხვავებული მიზნებით და შედეგებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
სხდომის თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ სტანდარტის 2.1 კომპონენტში მოცემულია რჩევა, რომელიც პროგრამაზე დაშვების წინაპირობას ეხება და გულისხმობს უცხო ენის ფორმალიზებას, ის დაინტერესდა თუ რატომ განისაზღვრა მოცემული საკითხი რჩევის სახით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტმა განმარტა, რომ დაშვების წინაპირობებში დაწესებულებას ნამდვილად აქვს მოცემული მოთხოვნა B2 დონის უცხო ენის ცოდნასთან დაკავშირებით და შესაბამისად ამ საკითხთან დაკავშირებთ პრობლემა არ ყოფილა, რჩევის მიზანს კი წარმოადგენდა იმის დადგენა, რომ უფრო ცხადი ყოფილიყო გამოცდის სახე და პროცედურები.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:24
დასრულების დრო: 15:32
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის „ვებ და მულტიმედიური პროექტის ტექნოლოგიები და მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებისთვის არაუმეტეს 60 კალენდარული დღის მიცემის საკითხი ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესასრულებლად.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე შპს ქართულ - ამერიკულ უნივერსიტეტს „ვებ და მულტიმედიური პროექტის ტექნოლოგიები და მართვის“ სამაგისტრო განესაზღვროს არაუმეტეს 60 კალენდარული დღე, ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების გამოსასწორებლად.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია დაკორექტირდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციის ჩანაწერი ახალი მოთხოვნის შესაბამისად;
2. დაკორექტირდეს სასწავლო კურსის: „პრაქტიკული კომპონენტი“ მიზნები და შედეგები;
3. დაკორექტირდეს პროექტის შეფასების სქემა და მოვიდეს საკანონმდებლო ჩანაწერთან შესაბამისობაში;
4. განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა სასწავლო კურსში „ვებ პლატფორმები და მათი კომბინირება;

5. ჩანაცვლდეს სასწავლო კურსში „ვებ და მულტიმედიური პროექტის ინჟინერია (UX Design)“ სავალდებულო ლიტერატურა - Alan Cooper , Robert Reimann , David Cronin. About Face 3: The 7 Essentials of Interaction Design Publisher: Wiley; 3rd edition (May 7, 2007) უფრო ახალი, 2014 წლის გამოცემით;
6. დაკონკრეტდეს სასწავლო კურსის „კიბერ უსაფრთხოება, დაცვა და შეტევა“ სილაბუსში სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა;
7. დაკორექტირდეს სასწავლო კურსის „აკადემიური წერა და სტილისტიკა“ სილაბუსში მიზნები შესაბამისი საფეხურის შესატყვისად.;
8. რეკომენდებულია პროგრამაში მიეთითოს გასაუბრების ფორმატი და შინაარსი;

მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 26 თებერვლის № 50 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი აგროინჟინერიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0175, მ. კოსტავას ქუჩა № 7
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს ქეთევან ქუთათელაძემ და მარინე მაისურაძემ
საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ექსპერტის დასკვნას და საკითხის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას თვითშეფასების ანგარიშის შესახებ. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მათ შეაფასეს იმ მიმართულებით, რომ დაედგინათ, რამდენად მოვიდა პროგრამა შესაბამისობაში ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. სწორედ ამ მიზნით განხორციელდა პროგრამაზე მონიტორინგი. მისი თქმით, 2019 წელს მოქმედი კლასიფიკატორის თანახმად პროგრამის ცალკე დარგი იყო „აგროინჟინერია“, ხოლო განახლებული სფეროების კლასიფიკატორით კი პროგრამის დეტალური სფეროა „ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული“-0719, რომელშიც გაერთიანებულია 0719.1.6 - აგროინჟინერია.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეფასდა პირველი „საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა“, მე-2 „სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა“ და მე-4 „სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა“ სტანდარტები.
ძველი ჩარჩოს შესაბამისად პროგრამას ჰქონდა 6 სწავლის შედეგი, რომელიც ახალ ჩარჩოსთან შესაბამისობის მიზნით მოდერნიზდა და დღეს პროგრამაში სწავლის შედეგები წარმოდგენილია სამი განახლებული კომპეტენციების მიხედვით და ასევე სწავლის შედეგები მთლიანად არის შეცვლილი სასწავლო კურსებში.

ექსპერტმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის მე - 2 სწავლის შედეგში წერია, რომ „დამოუკიდებლად ატარებს ლაბორატორიულ ექსპერიმენტებს ნიადაგების წყლოვან–ფიზიკური და ქიმიურ–ბიოლოგიური შემადგენლობის დასადგენად, ნიადაგების დაცვის და მისი ნაყოფიერების ამაღლების მიზნით“ ხოლო - კურიკულუმის რუკაში მე-3 დონის კურსებია: „ნიადაგმცოდნეობის საფუძვლები“, „ნიადაგისა და წყლის დაცვის სისტემების დაპროექტება და შეფასება“, „ნიადაგისა და წყლის მონიტორინგის სისტემების დაპროექტება და შეფასება“. მოცემული სამი კურსიდან ლაბორატორიული სამუშაოები, რომლებიც პირდაპირ გადიან ამ სწავლის შედეგზე, არის მხოლოდ კურსში „ნიადაგმცოდნეობის საფუძვლები“, ხოლო სხვა დანარჩენი ორი კურსის შინაარსით განსაზღვრული სამუშაოები არის მხოლოდ პრაქტიკულის ფორმატით და არ არის ორიენტირებული სტუდენტის მიერ ნიადაგთან დაკავშირებულ ლაბორატორიული ექსპერიმენტების დამოუკიდებელ შესრულებაზე.

ექსპერტმა მე-4 სწავლის შედეგთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მე-4 სწავლის შედეგის „გეგმავს გარემოსდამცავ ღონისძიებებს აგროსაწარმოებში და ეფექტურად ახორციელებს თანამედროვე აგროსაინჟინრო აპარატურის და ტექნიკის და ექსპლუატაციას, კონტროლს და რემონტს“ მიღწევისთვის პროგრამა აცხადებს, რომ მე-3 დონის საგნებია: „შრომის უსაფრთხოება აგროსაწარმოებში“, „მასალათა მექანიკა“, „საინჟინრო თერმოდინამიკა აგროინჟინრებისათვის“, „ცხოველთა სადგომების გარემოსდაცვითი მოდიფიცირებული სისტემების დაპროექტება“ „აპარატურა აგრარულ და ბიოსისტემების ინჟინერიაში“, „სასოფლო-სამეურნეო მანქანების ფუნქციონალური ანალიზი და მოდელირება“, „ნიადაგისა და წყლის მონიტორინგის სისტემების დაპროექტება და შეფასება“. სილაბუსების შინაარსიდან და გაცხადებული სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სასწავლო კურსები ვერ უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგზე გასვლას. ჩამოთვლილი სასწავლო კურსებში არ ეთმობა დრო აგროსაინჟინრო აპარატურის სწავლებას, მით უმეტეს მათი ექსპლუატაციისა და რემონტის საკითხებს. უნდა ითქვას, რომ მე-4 სწავლის შედეგი ვერ მიიღწევა არსებული სილაბუსებით და სასწავლო რესურსებით. აღსანიშნავია, რომ ზემოთ ხსენებულ სწავლის შედეგთან არ აქვს კავშირი ისეთი საგნებს, როგორიცაა მასალათა მექანიკა, საინჟინრო თერმოდინამიკა აგროინჟინრებისათვის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ფუნქციონალური ანალიზი და მოდელირება. დაწესებულებამ არგუმენტად მოიყვანა რიგით #72 სილაბუსი - ნიადაგისა და წყლის მონიტორინგის სისტემების დაპროექტება და შეფასება, სადაც ერთ-ერთი სწავლის შედეგია: „არჩევს ნიადაგისა და წყლის მონიტორინგის შესაბამის ხელსაწყო–მოწყობილობებს“ ანუ სილაბუსის ავტორს გაცხადებული აქვს რომ მისი კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს ხელსაწყოებთან მიმართებით ექნება უნარი გაარჩიოს ხელსაწყოები. ექსპერტის თქმით, აღნიშნულ სილაბუსში არსად არ არის მოხსენიებული აგროსაინჟინრო აპარატურა, ტექნიკა, ხელსაწყოები, რაც მე-4 სწავლის შედეგის საკვანძო კომპონენტია. იგივე შეიძლება ითქვას მე - 5 და მე - 6 სწავლის შედეგებზე. მაგალითად მე-5 სწავლის შედეგთან - „იკვლევს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ფუნქციონალურ ანალიზს და იყენებს თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიებს და ტექნიკას“ - არანაირ კავშირში არ იმყოფება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში მოყვანილი კურსები, #17, 18, 38, 47, 50, 70, 72. მე-5 სწავლის შედეგთან დაკავშირებულია მხოლოდ ერთი კურსი #71-სასოფლო-სამეურნეო მანქანების ფუნქციონალური ანალიზი და მოდელირება.

ექსპერტის თქმით, სასწავლო კურსები რომელიც მან რეკომენდაციებში ახსენა, არცერთის სათაური არ შეესაბამება კურსის შინაარსს.

ექსპერტმა ასევე დაამატა, რომ გარდა სასწავლო კურსების სათაურის და შინაარსის შეუსაბამობისა სწავლის შედეგებიც აცდენილია კურსის სახელწოდებას და შინაარსს.

მე - 2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ ისინი აქ გულისხმობენ, რომ გასაუმჯობესებელია სწავლის შედეგების ფორმულირება, მაგალითად, მე - 5 სწავლის შედეგი - იკვლევს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ფუნქციონალურ ანალიზს და იყენებს თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიებს და ტექნიკას - ისინი ვერ მიხვდნენ რა იგულისხმება წინადადებაში „იკვლევს ფუნქციონალურ ანალიზს“. ფორმულირების გაუმჯობესების საკითხი მიემართებოდა ასევე, მე - 7 სწავლის შედეგს, მაგალითად მე - 7 სწავლის შედეგი მოცემულია შემდეგნაირად - „იხილავს წყლის რესურსების ინტეგრირებულ მართვას, ფასწარმოქმნისა და წარმოების მოცულობის განსაზღვრით და ბუნებრივ–ანთროპოგენური პირობების გათვალისწინებით, აპროექტებს მას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად“ - მათთვის ბუნდოვანია რის დაპროექტებას ეხება საკითხი.

ასევე მე-5 სწავლის შედეგიც საჭიროებს აზრობრივ გამართვას და ნათლად წარმოდგენას.

ექსპერტის თქმით, პროგრამამ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს არსებული პრაქტიკული ბაზა და პროგრამაშიც მაქსიმალურად უნდა იყოს ინტეგრირებული პრაქტიკული უნარების განმავითარებელი აქტივობები.

რეკომენდაციასთან - „რეკომენდებულია გადამუშავდეს სასწავლო კურსი „ნიადაგისა და წყლის მონიტორინგის სისტემების დაპროექტება და შეფასება“ მისი შინაარსისა და სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის უზრუნველყოფით, კურსში ინტეგრირებული პრაქტიკის წვლილის გაზრდით კურსის სწავლის შედეგსა და შეფასების კომპონენტებში“ - ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეს გარკვეულწილად არის ძირითადი სასწავლო კურსი რომელის პროგრამის თითქმის ყველა სწავლის შედეგზე ახდენს გავლენას და აქაც მნიშვნელოვანია კარგად იყოს ინტეგრირებული პრაქტიკული კომპონენტი.

სწავლა - სწავლების მეთოდებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე ექსპერტმა აღნიშნა, რომ სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამაში გამოიყენება სხვადასხვა სწავლება-სწავლის მეთოდები, რომელიც ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსებში, თუმცა, პროგრამაში შემავალი ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებში (რომელიც შეადგენს 200 კრედიტს) არ ფიქსირდება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისა (PBL) და შემთხვევების შესწავლის (Case Study) მეთოდების გამოყენების შემთხვევა. გამონაკლისია მხოლოდ სასწავლო კურსი აგროსაინჟინრო პროექტირება-1, რომლის სილაბუსშიც გაცხადებულია შემთხვევების შესწავლის (Case Study) მეთოდის გამოყენება.
ეს სწავლა-სწავლების მეთოდები მნიშვნელოვანია მოცემულ პროგრამასთან მიმართებაში და მნიშვნელოვანია ისინი აქტიურად იქნას გამოყენებული ისეთ სასწავლო კურსებში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, საინჟინრო პრობლემების გადაწყვეტა კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით, საინჟინრო გეოლოგია და გარემოს დაცვა, შრომის უსაფრთხოება აგროსაწარმოებში, აგროსაინჟინრო პროექტირება, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ფუნქციონალური ანალიზი და მოდელირება, გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა (GIS) და ბუნებრივი რესურსების მართვა, ნიადაგისა და წყლის დაცვის სისტემების დაპროექტება და შეფასება, ჰიდროგეოლოგია და ა.შ.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა ფუნქციონირებს ფაკულტეტზე, სადაც არსებობს საკმაოდ კარგი მატერიალური ბაზა და მნიშვნელოვანია ამ თანამედროვე ბაზების აქტიურად გამოყენება განსახილველი პროგრამის განხორციელების პროცესში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ მოუხდენია სწავლის მიზნებისა და შედეგების შინაარსობრივი მოდიფიცირება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2019 წელს, მნიშვნელოვანია, რომ აკრედიტაციის პროცესის დროს პირველ სტანდარტთან მიმართებით არსებობდა მხოლოდ ერთი რეკომენდაცია. ასევე პროგრამა მუდმივად გადის შიდა ხარისხის შეფასებას და ამ შეფასების პროცესში მათი მხრიდან არ გამოკვეთილა მოსაზრება პროგრამაში რაიმე სტრუქტურულ ცვლილებასთან დაკავშირებით.

პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ არ განუხორციელებიათ პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შინაარსობრივი ცვლილებები. ახალ ჩარჩოსთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით მათ მხოლოდ აქტიურ ზმნებში გაწერეს სწავლის შედეგები და დააჯგუფეს სამი კომპეტენციის ფარგლებში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პროგრამას ერთ წელში უწევს კლასტერული აკრედიტაციის გავლა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ საბჭო მიზანშეწონილად ჩათვლის გაიზიაროს ექსპერტების რეკომენდაციები უნივერსიტეტის მზად არის რომ შესაძლებლობის მაქსიმუმის გათვალისწინებით, მიიღოს ეს რეკომენდაციები და განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები.

მატერიალურ ბაზებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერისიტეტი ამ პროგრამის და სხვა ყველა პროგრამის ფარგლებში აუცილებლობიდან და საჭიროებიდან გამომდინარე იყენებს ლაბორატორიულ რესურსს. მათ აქვთ ძალიან თანამედროვე ბაზები, რომლებიც უზრუნველყოფენ პრაქტიკული კომპონენტის წარმატებით განხორციელებას.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება არ ეთანხმება ექსპერტთა მერ განსაზღვრულ რეკომენდაციებს, ისინი თვლიან, რომ ყველა სასწავლო კურსი, რომლებსაც ექსპერტები ახსენებენ რეკომენდაციებში, თავისი შინაარსით და პრაქტიკული კომპონენტით სტუდენტი გაყავთ შესაბამის სწავლის შედეგებზე.

იგივე ეხება მე-6 და მე-7 სწავლის შედეგებს, სადაც საუბარი იყო პროექტირებებზე. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სასწავლო კურსებში სტუდენტები სწავლობენ პროექტის დაგეგმვას, განრიგის შემუშავებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის ძირითად ელემენტებს. კონკრეტულ ლანდშაფტზე, ჰიდროლოგიური და კლიმატური პირობების გათვალისწინებით მელიორაციული ღონისძიებების დაპროექტებას, ნიადაგისა და წყლის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი დაცვის სისტემების დაპროექტებას და შეფასებას, ჰიდროლოგიური მონაცემების გამოყენებას და ანალიზს საინჟინრო პროექტირებაში, მონიტორინგის სისტემების განვითარებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ნიადაგის, წყლისა და ჩამდინარე წყლების მართვის დაგეგმარებას, შეფასებას, მოდელირებას და გარემოზე ზემოქმედების ანალიზს, ნიადაგის და წყლის დაცვის თანამედროვე აგროსაინჟინრო სისტემების ეფექტურობის განხილვას და მათ დაპროექტებას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. რაც შეეხება „აგროსაინჟინრრო პროექტირება I"-ს და „აგროსაინჟინრო პროექტირება II"-ს, ისინი ერთმანეთსგან დამოუკიდებელი კურსებია. პირველი შეასწავლის სტუდენტს ნიადაგების დაშრობა-გაწყლოვანების პრინციპებს და პროექტირებას, ხოლო მეორე სასწავლო კურსი - წყლის რესურსების ინტეგრირებულ მართვას და ჰიდროკვანძის პროექტირებას. შესაბამისად, ასახულია პროგრამის სწავლის მე-6 და მე-7 შედეგებში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის სწავლის მეექვსე შედეგი მკაფიო, მიღწევადი, გაზომვადი და რეალისტურია.

რაც შეეხება პრაქტიკას, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პრაქტიკა ინტეგრირებულია სილაბუსში ,,წყლის მონიტორინგის სისტემების დაცვა და დაპროექტება" 15 სასწავლო საათის განმავლობაში სტუდენტები პრაქტიკას გადიან საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების უდიდესი კომპანიის ლაბორატორიაში, სადაც სტუდენტები დამოუკიდებლად ასრულებენ ჩამდინარე და სასმელი წყლების მონიტორინგისთვის საჭირო ანალიზს. პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის ობიექტებს წარმოადგენს წყალმომარაგების ორგანიზაციები, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ასე შემდეგ.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა რომ, არაგეგმიური მონიტორინგის წარმოების ფარგლებში, უნივერსიტეტი მოკლებულია შესაძლებლობას, რომ საბჭოს დაუსაბუთოს აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან შესაბამისობა შესაბამისი მტკიცებულებებით. ამიტომ, ძალიან რთულია დღეს საბჭოს დარჩეს სრულყოფილი წარმოდგენა მთლიანად პროგრამაზე თავისი მატერიალური ბაზებითა და მიღწევებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ბაზებთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამაში პრაქტიკა ცალკე არ არის განსაზღვრული, ეს უკანასკნელი ინკორპორირებულია ერთ სასწავლო კურსში, რომელიც გავლენას ახდენს პროგრამის ყველა სწავლის შედეგზე და ამ სასწავლო კურსის განხორციელების დროს გამოიყენება მხოლოდ ერთი ბაზა. პროგრამის ხელმძღვანელმა ახსენა, რომ ამ სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები იხილავენ ჩამდინარე წყლებს, ნიადაგის დაბინძურებასა და ა.შ, თუმცა აგრარული და საინჟინრო მიმართულების განხილვა პროგრამის ფარგლებში არ უნდა იყოს ძირითადი. გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანია პროგრამამ უფრო მეტად თავისი მიმართულებები მოიცვას და ამ სისტემების დაპროექტებაზე იმუშაოს.

რაც შეეხება მეორე სწავლის შედეგს - „დამოუკიდებლად ატარებს ლაბორატორიულ ექსპერიმენტებს ნიადაგების წყლოვან–ფიზიკური და ქიმიურ–ბიოლოგიური შემადგენლობის დასადგენად, ნიადაგების დაცვის და მისი ნაყოფიერების ამაღლების მიზნით“. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტმა თქვა, რომ როდესაც იგეგმება პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლა და შესაბამისი მონიტორინგის სისტემით არსებობს პირველი მეორე და მესამე გრადაცია, რომელსაც იყენებს უნივერსიტეტი. გამომდინარე აქედან ის დაინტერესდა შეიძლება თუ არა ჯერ ისწავლებოდეს მესამე გრადაციის სასწავლო კურსი, ხოლო შემდგომ გაგრძელდეს მეორე გრადაციის სასწავლო კურსებით. სწორედ აქედან წარმოიშვა პროგრამის დახვეწისა და სწავლის შედეგების მოდიფიკაციის საკითხი, ვინაიდან პირველი სწავლის შედეგისთვის მესამე სემესტრშია განსაზღვრული მესამე გრადაციის სასწავლო კურსი, შემდეგ მე-2, მე-5, მე-7 სემესტრებში გვხვდება მე-2 გრადაცია და ასე გრძელდება, რაც ექპერტთა აზრით აუცილებლად საჭიროებს გაუმჯობესებას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

სხდომის თავმჯდომარე, ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანმა მიმართა დაწესებულებას, ის დაინტერესდა დაწესებულების მზაობით ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. ასევე, ის დაინტერესდა რა დრო დასჭირდებოდა დაწესებულებას სასწავლო კურსების მოდიფიცირებისთვის.
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ თუ საბჭო გაიზიარებს ექსპერტების რეკომენდაციებს, ისინი მზად არიან შეასრულონ. ისინი უბრალოდ ხაზს უსვამდნენ იმ საკითხს, რომ როდესაც პროგრამამ 2019 წელს გაიარა აკრედიტაცია რეკომენდაციები მოცემულ პროგრამაზე არ ყოფილა. სილაბუსებს, რომლებიც რეკომენდაციებშია მითითებული არ განუცდიათ არანაირი არც შინაარსობრივი არც სათაურის ცვლილება. მოცემულ სილაბუსებთან დაკავშირებით არ ყოფილა არც ერთი რეკომენდაცია გაცემული. გამომდინარე აქედან, დაწესებულება არ ეთანხმება ექსპერტების რეკომენდაციებს სასწავლო კურსებთან დაკავშირებით.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსი „სასოფლო-სამეურნეო მანქანების ფუნქციონალური ანალიზი და მოდელირება“ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის მე-5 შედეგის - „იკვლევს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ფუნქციონალურ ანალიზს და იყენებს თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიებს და ტექნიკას“ - მიღწევას.

დაწესებულების წარმომდგენელმა ექსპერტების ნათქვამთან დაკავშირებით, რომ სასწავლო კურსში, „ცხოველთა სადგომების გარემოსდაცვითი მოდიფიცირებული სისტემების დაპროექტება“ მეცხოველეობასთან დაკავშირებით მხოლოდ სამი თემატიკა იყო განსაზღვრული, ხოლო დანარჩენი 15 კვირის განმავლობაში ისწავლებოდა ფიზიკის საკითხები, აღნიშნა, რომ თავად სასწავლო კურსის სათაური გულისხმობს მეცხოველეობის ფერმებში გარემოსდაცვითი პროექტების ორგანიზებას.

დაწესებულების წარმომადგენლმა აღნიშნა რომ ისინი უარს არ ამბობენ ზოგადად სასწავლო კურსების გადახედვაზე, მათ სურთ აკადემიური თავისუფლების ფარგლებში თვითონ განსაზღვრონ რომელ სასწავლო კურსებში განახორციელონ ცვლილებები სწავლის შედეგებთან მიმართებით.

სასწავლო კურსთან „სასოფლო-სამეურნეო მანქანების ფუნქციონალური ანალიზი და მოდელირება“ ექსპერტმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ კურსში არის საკმაოდ დიდი მოცულობის საკითხები და შეუძლებელია მინიჭებული კრედიტებით დაიფაროს ის თემატიკა და მიღწეულ იქნას ის სწავლის შედეგები, რომელიც მოცემულია სილაბუსში. სწორედ ამ კუთხით საჭიროებს სილაბუსი კორექტირებას. ხოლო რაც შეეხება სხვა სასწავლო კურსებს, „ცხოველთა სადგომების“ ხელსაწყოების“ და სხვა, სათაურები აცდენილია შინაარსს, მისი თქმით არსებობს კლასიკური დასახელების საგანი ,,ელექტრული წრედები“, რომელიც აუცილებელი და ძალიან მნიშვნელოვანია აგროინჟინერიის მიმართულების სპეციალისტებისთვის, განსახილველ პროგრამაში აღნიშნული სასწავლო კურსი წარმოდგენილია სხვა დასახელებებით. თუმცა დასახელება პრობლემა ნაკლებად არის, მთავარი ის არის რომ ეს მსგავსი სასწავლო კურსი გადის სხვა სწავლის შედეგზე, მაგალითად სწავლის შედეგში წერია, რომ შესწავლილ იქნება აპარატურა რომელიც გამოიყენება აგროინჟინერიაში, მაშინ როცა სილაბუსში აპარატურა არ ისწავლება, ისწავლება ელექტრული წრედები.

ანალოგიური სიტუაცია მეორდება სხვა სასწავლო კურსებში, სადაც საკამოდ დიდი აცდენებია. ასევე, პროექტირების სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად მითითებული აქვს ხაზვა, რომელიც არის საკმაოდ საბაზისო დონის განმსაზღვრელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს შენიშვნები წამოვიდა მას მერე რაც პროგრამა გადავიდა ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოზე, და სახეზეა, სხვა რაოდენობისა და ფორმულირების სწავლის შედეგები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამას არ განუცდია შინაარსობრივი ცვლილებები, მათ შორის არც სასწავლო კურსებთან დაკავშირებით. დაწესებულება უარს არ ამბობს სასწავლო კურსების დახვეწასა და მოდიფიკაციაზე, თუნდაც ლიტერატურის დამატებაზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:46
დასრულების დრო: 16:59
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზედააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებისთვის არაუმეტეს 60 კალენდარული დღის მიცემის საკითხი ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესასრულებლად.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს "ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის “ საბაკალავრო განესაზღვროს არაუმეტეს 60 კალენდარული დღე, ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების გამოსასწორებლად.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამა დაიგეგმოს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას უნარების კომპეტენციების - მეორე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე სწავლის შედეგების მიღწევა შესაბამისი სასწავლო კურსების შინაარსით, სწავლის შედეგებით და ფორმატით;
2. რეკომენდებულია პროგრამის მეხუთე და მეშვიდე სწავლის შედეგი სწორად ასახავდეს იმ კომპეტენციას, რაზედაც უნდა გავიდეს პროგრამის კურსდამთავრებული;
3. რეკომენდებულია მეოთხე სწავლის შედეგი წარმოადგენდეს მთლიანობაში ერთ ძირითად კომპეტენციაზე ორიენტირებულ საერთო განაცხადს და არ წარმოადგენდეს რამდენიმე განსხვავებული სწავლის შედეგების გაერთიანებას;
4. რეკომენდებულია, პროგრამამ გააუმჯობესოს მიდგომები სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგისათვის - მოხდეს სამივე დონის სასწავლო კურსების სწორად იდენტიფიცირება და შესაბამისი სასწავლო კურსების გაუმჯობესება;
5. გაუმჯობესდეს პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი სასწავლო კურსების ლოგიკური თანმიმდევრობის, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის, სასწავლო კურსების დასახელებებისა და შინაარსის შესაბამისობის უზრუნველყოფის გზით;
6. რეკომენდებულია მოდერნიზდეს სასწავლო კურსი „სასოფლო-სამეურნეო მანქანების ფუნქციონალური ანალიზი და მოდელირება“ მისი კრედიტების მოცულობის, შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისობაში მოყვანით, მოხდეს სასწავლო კურსის დაშვების წინაპირობების კორექტირება;
7. რეკომენდებულია სასწავლო კურსისათვის „ელექტროენერგიისა და ელექტროხელსაწყოების გამოყენება აგრომრეწველობაში“ ურთიერთშესაბამისობაში მოვიდეს დასახელება, სწავლის შედეგების და კურსის შინაარსი;
8. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „დაპროექტება და პროექტის მართვა აგრარულ და ბიოსისტემების ინჟინერიაში“ შინაარსი და სწავლის შედეგები წარმოდგეს მისი დასახელების შესაბამისად. კორექტირდეს კურსის დაშვების წინაპირობები;
9. რეკომენდებულია სასწავლო კურსის "კარიერის დაგეგმვა ნიადაგის და წყლის რესურსების ინჟინერიაში“ მოდერნიზება, რადგან შინაარსი და სწავლის შედეგები არის ზოგადი და ნაკლებად გულისხმობს აგრარული მიმართულებით კარიერის დაგეგმვის საკითხებს;
10. რეკომენდებულია გადამუშავდეს სასწავლო კურსი „ცხოველთა სადგომების გარემოს დაცვითი მოდიფიცირებული სისტემების დაპროექტება“ კურსის დასახელების, სწავლის შედეგების, სწავლების ფორმატისა და შინაარსის შესაბამისობაში მოყვანით;
11. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „აპარატურა აგრარულ და ბიოსისტემების ინჟინერიაში“ სწავლის შედეგები და შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს კურსის დასახელებასთან;
12. გადაიხედოს და მოდერნიზდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების სილაბუსები თემატიკის გადაფარვების გამორიცხვის უზრუნველყოფით;
13. რეკომენდებულია პროგრამაში გაიზარდოს სასწავლო მიზნით გამოყენებული პრაქტიკის ბაზების რაოდენობა, ასევე გაძლიერდეს საწარმოო პრაქტიკის კომპონენტი ან შესაბამისი სასწავლო კომპონენტის შემოტანით, ან სასწავლო კურსებში უფრო მეტად ინტეგრირებით;
14. გადამუშავდეს სასწავლო კურსი „ნიადაგისა და წყლის მონიტორინგის სისტემების დაპროექტება და შეფასება“ მისი შინაარსისა და სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის უზრუნველყოფით, კურსში ინტეგრირებული პრაქტიკის წვლილის გაზრდით კურსის სწავლის შედეგსა და შეფასების კომპონენტებში;
15. რეკომენდებულია სასწავლო კურსების განხორციელებაში პრაქტიკულად დაინერგოს და გაძლიერდეს კურიკულუმში გაცხადებული სწავლება სწავლის მეთოდები - 7 სასწავლო/საწარმოო პრაქტიკა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და შემთხვევების შესწავლა (Case Study) გამოყენება;

16. დაიგეგმოს გასაუმჯობესებელი ღონისძიებები, რომლის მიხედვითაც ფაკულტეტზე არსებული თანამედროვე ლაბორატორიული ბაზა უფრო ეფექტიანად იქნება გამოყენებული მოცემული პროგრამის იმ სავალდებულო დარგობრივ სასწავლო კურსებში, რომლებიც გადიან პროგრამის სწავლის შედეგებზე მესამე დონით.

რჩევები:

1. გადაიხედოს პროგრამის კურიკულუმი და გასწორდეს ტექსტის აკრებით განპირობებული ხარვეზები;
2. მნიშვნელოვანია პერსონალის პირადი საქმეების და მონაცემების განახლება, რათა ისინი ხარისხის შიდა და გარე შეფასებისათვის რელევანტურად და ვალიდურად იქნას გამოყენებული;
3. სასურველია, რომ პერსონალის პირადი საქმეების წარმოდგენა მოხდეს ერთგვაროვანი სტრუქტურით, სადაც ნათლად და სრულად იქნება წარმოდგენილი ბოლო 5 წელიწადში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომები, რითაც ძირითადად დასტურდება პერსონალის კვალიფიკაცია;
4. სასურველია, რომ პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისათვის კომპლექსურად შეფასდეს პროგრამის სწავლებაში გამოყენებული ძირითადი ლიტერატურის ხარისხი და თავსებადობა შესაბამისი სასწავლო კურსების შინაარსთან და გაცხადებულ სწავლის შედეგებთან. ამ კომპლექსურ შეფასებაში ასევე რეკომენდებულია სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართვა და მათი მიზნობრივი გამოკითხვების შედეგების გათვალისწინება

მეხუთე საკითხი: შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „ადამიანური რესურსების მართვის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა:

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ადამიანური რესურსების მართვა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2022 წლის 26 აგვისტოს N952863 გადაწყვეტილება (ძალაში შესვლის თარიღი 2022 წლის 12 აგვისტო)
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
8	კვალიფიკაციის დასახელება	ადამიანური რესურსების მართვის მაგისტრი
9		

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება.
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
12	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0186, თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქ. N3

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, ექსპერტის დასკვნას და საკითხის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას ანგარიშის შესახებ. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეხუთე საკითხისზეპირი მოსმენა

ექსპერტმა აღნიშნა, რომ „ადამიანური რესურსების მართვის“ სამაგისტრო პროგრამას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია 2024 წლის 31 დეკემბრამდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში, სადაც დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვიდან დგინდება დაწესებულების მხრიდან განხორციელდა კომპლექსური მიდგომა გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ. რეკომენდაციების გასაანალიზებლად შეიკრიბა ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის საბჭო დეკანის ხელმძღვანელობით, შესაბამისად, ფაკულტეტის საბჭომ განიხილა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების პროგრამაში ასახვის საკითხი და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. წარმოდგენილი ანგარიშის და მასზე თანდართული მასალების თანახმად დაწესებულების მხრიდან საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები შესრულებულია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ ინსტიტუციამ სრულად შეასრულა რეკომენდაციები.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:03
დასრულების დრო: 17:05
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „ადამიანური რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან

დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2[11] პუნქტის საფუძველზე, შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „ადამიანური რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს სხდომა დასრულდა 17:10 წუთზე

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი